

კახი კოპალიანი¹, ელენე ჩომახიძე²,

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანა ზუბაშვილი³

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2022.20.25>

„ბნელი ტრიადის“ კითხვარის ადაპტაცია

აბსტრაქტი. წარმოდგენილია „ბნელი ტრიადის“ შემოკლებული კითხვარის (Short Dark Triad – SD3, Jones, Paulhus, 2014) ადაპტაციის შედეგები ქართველი ახალგაზრდების შერჩევაზე. „ბნელი ტრიადა“ აერთიანებს სამ ნეგატიურ ნიშანს – მაკიაველიზმს, არაკლინიკურ ნარცისიზმსა და ფსიქოპათიას, რომლებიც გავლენას ახდენს „მე“-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე, პიროვნებათმორის ურთიერთობათა დინამიკასა და კარიერულ წინსვლაზე. ამ სამი ნიშნის ერთიან კომპლექსად განხილვის იდეა კანადელ მკვლევარებს, Paulhus და Williams (2002), ეკუთვნის. „ბნელი ტრიადის“ ნიშნების გამოვლინება მსგავსია, თუმცა თითოეულს სპეციფიკური წილი შეაქვს ასოციალურ ქცევაში.

კვლევაში მონაწილეობა 464 პირმა მიიღო, საშუალო ასაკი 21.4 ± 6.2 . ნაჩვენებია, რომ კითხვარის ქართული ვერსიის სტრუქტურა ემთხვევა, ძირითადად, ორიგინალური კითხვარის სტრუქტურას. მაკიაველიზმის, ნარცისიზმისა და ფსიქოპათიის სკალების შიდა შეთანხმებულობა აღემატება 0.7-ს. „ბნელი ტრიადის“ ნიშნებს შორის კორელაცია 0.30-0.43 ფარგლებშია, რაც შეესაბამება სხვა მკვლევართა შედეგებს. პიროვნულ დისპოზიციურ ნიშნებთან („დიდი ხუთეული“) შეპირისპირებისას დადასტურდა თეორიულად მოსალოდნელი კავშირები: უარყოფითი კორელაცია სამივე სკალისა (მაკიავე-

¹ კახი კოპალიანი, ფსიქოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

² ელენე ჩომახიძე ფსიქოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

³ ანა ზუბაშვილი - კავკავიის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილი სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ლიზმი, ნარცისიზმი, ფსიქოპათია) კეთილგანწყობასთან, ფსიქოპათიისა კეთილსინდისიერებასთან, აგრეთვე დადებითი კორელაცია ნარცისიზმსა და ექსტრავერსიას, ახალი გამოცდილებისადმი გახსნილობას შორის. კითხვარის საკმაოდ კარგი ფსიქომეტრული მაჩვენებლებიდან გამომდინარე, შემუშავებული ქართული ვერსია შეიძლება მიჩნეულ იქნეს სანდო და ვალიდურ ფსიქოდიაგნოსტურ ინსტრუმენტად. მისი გამოყენება შეიძლება როგორც კვლევითი, ისე ფსიქოლოგიური კონსულტირების მიზნებისათვის.

საკვანძო სიტყვები: „ბნელი ტრიადის“ შემოკლებული კითხვარი, მაკიაველიზმი, ნარცისიზმი, ფსიქოპათია, ფსიქომეტრული მახასიათებლები.

Kakhi Kopaliani⁴, Elene Chomakhidze⁵,

Sokhumi State University

Ana Zubashvili⁶

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Adaptation of the "Dark Triad" Questionnaire

Abstract. This paper presents the results of the adaptation of the Short Dark Triad (SD3, Jones, Paulhus, 2014) questionnaire on a sample of Georgian youth. The "Dark Triad" encompasses three negative traits – Machiavellianism, non-clinical Narcissism, and Psychopathy, which influence the development of self-concept, dynamics of interpersonal relationships, and career advancement. The idea of examining these three traits as a unified complex originated with Canadian researchers Paulhus and Williams (2002). The traits of the "Dark Triad" manifest similarly, but each contributes uniquely to antisocial behavior.

The study involved 464 participants, with a mean age of 21.4±6.2 years. It was shown that the structure of the Georgian version of the questionnaire largely corresponds to the original version. The internal consistency of the Machiavellianism, Narcissism, and Psychopathy scales exceeds 0.7. The correlation between the traits of the "Dark Triad" ranges from 0.30 to 0.43, which aligns with the results of other studies. When compared with dispositional personality traits ("Big Five"), theoretically expected relationships were confirmed: a negative correlation of all three scales (Machiavellianism, Narcissism, Psychopathy) with Agreeableness, Psychopathy with Conscientiousness, as well as a positive correlation between Narcissism

⁴ **Kakhi Kopaliani**, Doctor of Psychology, Professor of Sokhumi State University.

⁵ **Elene Chomakhidze**, Doctor of Psychology, Assoc. Professor of Sokhumi State University.

⁶ **Ana Zubashvili** - Master of Clinical Psychology of Caucasus University, Doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

and Extraversion, and Openness to Experience. Based on the questionnaire's fairly good psychometric properties, the developed Georgian version can be considered a reliable and valid psychodiagnostic tool. It can be used for both research and psychological counseling purposes.

Key words: Short Dark Triad questionnaire, Machiavellianism, Narcissism, Psychopathy, psychometric characteristics.

შესავალი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში არაერთი უცხოელი მკვლევარის ცხოველ ინტერესს პიროვნების ნეგატიური თვისებები იწვევს (Zeigler-Hill & Marcus, 2016). ტერმინი „ბნელი ტრიადა“ შემოტანილია 2002 წელს კანადელი მკვლევარების, Paulhus და Williams, მიერ სამი ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ დამოუკიდებელი კონსტრუქტისაგან (მაკიაველიზმი, არაკლინიკური ნარცისიზმი და არაკლინიკური ფსიქოპათია) შემდგარი თავისებური სინდრომის აღსანიშნავად. ავტორების თქმით, ამ სამი ნიშნის განმასხვავებელ თავისებურებათა გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ სამივე ერთობლივად შესწავლის გზით (Paulhus & Williams, 2002). თუმცა, სამივე ნიშნის საზომი ცალკეული ტესტების დიდი მოცულობის გამო ერთ კვლევაში მათი ერთობლივად გამოყენება საკმაოდ დიდ რესურს მოითხოვს. სწორედ ეს გახდა „ბნელი ტრიადის“ მოკლე სკალის (Short Dark Triad – SD3, Jones, Paulhus) შექმნის მოტივი (Jones & Paulhus, 2014). ამჟამად ტესტი ადაპტირებულია მრავალ ენაზე – შემუშავებულია ჰოლანდიური (Muris, Meesters, & Timmermans, 2014), ფრანგული (Gamache, Savard, & Maheux-Caron, 2014), რუსული (Егорова, Ситникова, & Паршикова, 2015; Корниенко & Дериш, 2019), სპარსული (Atari & Chegeni, 2016), იაპონური (Shimotsukasa & Oshio, 2016), პოლონური (Czarna, Jonason, Dufner, & Kossowska, 2016), გერმანული (Malesza, Ostaszewski, Büchner, & Kaczmarek, 2017), თურქული (Özsoy, Rauthmann, Jonason, & Ardic, 2017), ესპანური (Pineda, Sandín, & Muris, 2018), ჩინური (Zhang, Ziegler, & Paulhus, 2020), უნგრული (Szabó, და სხვ., 2021), სლოვაკური (Copková & Šafár, 2021), და სხვ. ვერსიები, რაც იძლევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში „ბნელი ტრიადის“ შესწავლისა და კულტურათმორისი შედარების საშუალებას. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა ტესტის ქართული ვერსიის შემუშავებას.

ბნელი ტრიადა აერთიანებს სამ ნიშანს – მაკიაველიზმს, ნარცისიზმსა და ფსიქოპათიას, რომელთა კვლევას ფსიქოლოგიაში (როგორც კლინიკური პრაქტიკის, ისე ნორმის ფარგლებში) საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. Paulhus & Williams არ იყვნენ პირველები, ვინც ყურადღება მიაქცია ამ სამი ნიშნის მსგავსებას, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს „მე“-კონცეფციის ჩამოყალიბებაზე, პიროვნებათმორის ურთიერთობათა დინამიკასა და კარი-

ერულ წინსვლაზე. XX ს. 90-ან წლებში McHoskey კოლეგებთან ერთად აჩვენეს, რომ, ჯერ ერთი, თეორიული წარმოდგენები მაკიაველიზმზე, ნარცისიზმსა და ფსიქოპათიაზე მნიშვნელოვნად ემთხვევა; მეორეც, სხვა ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან მათი კავშირის სტრუქტურა ძალიან მსგავსია (მაგალითად, სამივეს აქვს დადებითი კავშირი სოციალურ დომინანტურობასთან, ექსტერნალური კონტროლის ლოკუსთან და სხვ.); მესამეც, სტანდარტული კითხვარებით გაზომილ მაკიაველიზმს, ნარცისიზმსა და ფსიქოპათიას შორის დასტურდება მნიშვნელოვანი კორელაცია (McHoskey, Narcissism and Machiavellianism, 1995; McHoskey, Worzel, & Szyarto, 1998). ავტორების დასკვნით, ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულება აანალიზებს ერთსა და იმავე რეალობას, თუმცა განსხვავებული სახელწოდებით. ასე, კლინიკურ ფსიქოლოგიაში კრიმინალური ქცევის კვლევისას განიხილება ფსიქოპათია, ხოლო პიროვნების ფსიქოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია ამავე თავისებურებებს მაკიაველიზმს უწოდებს. მაგრამ მომდევნო წლების კვლევებმა დაადასტურა პიროვნების სამი „ბნელი“ მხარის არა ერთიანი ნიშნის, არამედ ურთიერთდაკავშირებული კომპლექსის სახით შესწავლის მიზანშეწონილობა (Muris, Merckelbach, Otgaar, & Meijer, 2017; Zeigler-Hill & Marcus, 2016).

თუმცა, „ბნელი ტრიადის“ კითხვარის შემუშავებისას ავტორების მიერ გათვალისწინებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ეს სამი ცვლადი ერთი და იგივე ნიშანია, რის გამოც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენას. თეორიული წარმოდგენებისა და არსებული მდიდარი ემპირიული მასალის ანალიზის წყალობით ავტორებმა შეძლეს ამ სამი ნიშნის საერთო და განმასხვავებელ თავისებურებათა მკვეთრად გამიჯვნა.

Christie and Geis (1970) მიერ შემოტანილი მაკიაველიზმის ცნება ნიკოლო მაკიაველის უკავშირდება და გულისხმობს ცინიკურ მსოფლმხედველობას, მორალის არქონასა და მანიპულაციებისაკენ მიდრეკილებას. მოგვიანებით მკვლევართა ყურადღება მიიპყრო მაკიაველის მივიწყებულმა წინამორბედმა – პირველი საუკუნის სამხედრო სტრატეგმა, სუნ ცზიმ, რომლის გავლენითაც მაკიაველიზმს დაემატა ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა დაგეგმვა, ალიანსების შექმნა და რეპუტაციაზე ზრუნვა. სწორედ ეს თვისებები აღმოჩნდა გადამწყვეტი მაკიაველიზმისა და ფსიქოპათიის გამიჯვნისათვის (Jones & Paulhus, 2014). კითხვარის ავტორების აზრით, ძირითადი განსხვავება ამ ორ ნიშანს შორის უკავშირდება იმპულსურობას. თუ ფსიქოპათისათვის დამახასიათებელია იმპულსური ქცევა, მაკიაველისტი ყველაფერს წინასწარ გეგმავს, ქმნის ალიანსებსა და აკეთებს ყველაფერს დადებითი რეპუტაციის მოსაპოვებლად. ის გულდასმით მალავს გულგრილობას გარშემო-

მყოფთა მიმართ და ნებისმიერი გზით დასახული მიზნების მიღწევის განზრახვას: სხვებით მანიპულირება ხომ შეუძლებელია, თუ არ გენდობიან. მთლიანობაში მაკიაველიზმის საკვანძო ელემენტებია ემოციური „სიცივე“ (უგულობა), მანიპულაციებისაკენ მიდრეკილება და სტრატეგიული, ანგარე-ბიანი ორიენტაცია.

შორეულ მიზნებზე ორიენტირებული მაკიაველისტიკისაგან განსხვავებით, იმპულსური ფსიქოპათი ქედმაღალია, ამპარტავანი, არ მალავს სრულ გულგრილობას სხვების პრობლემათა მიმართ და მიდრეკილია არა მარტო ვერბალური, არამედ ფიზიკური აგრესიისაკენ. ფსიქოპათიის ორი საკვანძო ელემენტია ემოციური „სიცივე“ (უგულობა) და თვითკონტროლის დეფიციტი (იმპულსურობა).

რაც შეეხება ნარცისიზმს, გამოყოფილია ორი ტიპი: გრანდიოზული ნარცისიზმი უპირატესობის განცდით და ჰიპერსენზიტიული (მოწყლადი) ნარცისიზმი მოწონების მოთხოვნილებით. ჰიპერსენზიტიული ნარცისიზმი განსხვავდება გრანდიოზულისაგან სხვების მხრიდან ნეგატიური შეფასების, კრიტიკის შიშით და უფრო მჭიდროდ უკავშირდება ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომატიკას (Ozimek P., 2018). „ბნელ ტრიადაში“ წარმოდგენილია გრანდიოზული ნარცისიზმის ტიპი, რომლის საკვანძო ელემენტია „მე“-ს გრანდიოზულობის განცდა, ანუ საკუთარი მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება და ამ საკუთარი უპირატესობის მუდმივად დამტკიცების სურვილი. თუ მაკიაველიზმისა და ფსიქოპათიისათვის დამახასიათებელია მისწრაფება რეალური მიღწევებისაკენ, ანუ ქცევა მოტივირებულია მატერიალური ან ინსტრუმენტული სარგებლის მიღებით, ნარცისტული ქცევის ყოვლისმომცველი მოტივია მაღალი თვითშეფასების დადასტურება, „ეგოს“ განმტკიცება (Jones & Paulhus, 2014).

ამ სამ ნიშანს აერთიანებს ემოციური „სიცივე“, გულგრილობა სხვების მიმართ და მანიპულაციური ტაქტიკის გამოყენება საკუთარი მიზნების მისაღწევად. სწორედ ესაა, კითხვარის ავტორების აზრით, „ბნელი ტრიადის“ ბირთვი, ანუ ის, რაც იძლევა ამ ნიშნების ერთიანი კომპლექსის სახით განხილვის შესაძლებლობას (Jones & Paulhus, 2014). ერთ-ერთი სტატიის ავტორების თქმით, „ბნელი ტრიადის“ მაღალი მაჩვენებლების მქონე პირის განსახიერებაა ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტის“ მთავარი გმირი (Jonason, Baughman, Carter, & Parker, 2015).

აღსანიშნავია ისიც, რომ კითხვარის შემუშავების დროისათვის უკვე არსებობდა „ბნელი ტრიადის“ საზომი მოკლე სკალა – „ბინძური დუჟინი“ – The Dirty Dozen (Jonason & Webster, 2010), მაგრამ ის ზედმეტად მოკლეა (12 პუნქტი – ოთხ-ოთხი პუნქტი თითოეულ ნიშანზე) და არაერთხელ გამხდარა

კრიტიკის საგანი. მაგალითად, გამოვლინდა მაკიაველიზმის ძლიერი დადებითი კორელაცია იმპულსურობასთან, რაც ეწინააღმდეგება ამ კონსტრუქტის კონცეფციას (Jones & Paulhus, Machiavellianism, 2009).

ორიგინალური კითხვარის აღწერა

კითხვარის ავტორების მიზანი იყო კომპაქტური ინსტრუმენტის შექმნა, რომლის შევსება დიდ დროს არ მოითხოვს და ამიტომ შესაძლებელია მისი ჩართვა სხვადასხვა ფსიქოლოგიური მახასიათებლის სადიაგნოსტიკო ბატარეაში. კითხვარი 27 პუნქტს შეიცავს, 9-9 პუნქტი თითოეული ნიშნის გასაზომად. პასუხების გასაცემად გამოიყენება 5-საფეხურიანი ლაიკერტის სკალა.

პირველ ეტაპზე ავტორების მიერ შემუშავდა 41 პუნქტისაგან შემდგარი კითხვარი. ნარცისიზმის სკალა შეიცავდა 13 პუნქტს, რომლებიც აღწერდა ნარცისტული პიროვნების ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა ლიდერობა, ექსპიზიციონიზმი, გრანდიოზულობის განცდა და ამბიციურობა. ასევე 13 პუნქტისაგან შედგებოდა მაკიაველიზმის სკალა, რომელიც ასახავდა ალიანსების ჩამოყალიბების, დაგეგმვის, მანიპულირების, რეპუტაციის შექმნის ტენდენციას, ცინიზმს. ფსიქოპათიის სკალისათვის ჩამოყალიბდა 15 პუნქტი, რომლებიც აღწერდა ანთისოციალურ ქცევას, არასტაბილურ ცხოვრების წესს, უგულობასა და ხანმოკლე მანიპულირების ტენდენციას. კვლევითი ფაქტორული ანალიზის შედეგების საფუძველზე ამოღებულ იქნა ის 14 პუნქტი, რომელიც ან არასაკმარისად იყო დატვირთული ფაქტორებით, ანდა, პირიქით, მნიშვნელოვანი დატვირთვით შედიოდა სამივე ფაქტორში. შედეგად შედგენილ იქნა 27-პუნქტიანი სკალა, 9-9 პუნქტი თითოეული ფაქტორისათვის. 3-ფაქტორიანი სტრუქტურა დადასტურებულ იქნა მთავარი კომპონენტების ანალიზითაც. მართალია, ზოგიერთი პუნქტი სხვა ფაქტორებშიც შედის (ნაკლებად მნიშვნელოვანი დატვირთვით), მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება „ბნელი ტრიადის“ მოდელს – ეს სამი ნიშანი ერთგონალური არ არის.

დადასტურდა კითხვარის სკალების მაღალი შიდა შეთანხმებულობა (კრომბაჰის ალფას მნიშვნელობა 0.68-0.78-ის დიაპაზონშია). სკალებს შორის კორელაცია დადებითია – 0.22-დან 0.47-მდე. რაც მთავარია, დადასტურდა ძლიერი კორელაცია ამ სამი ფაქტორის გრძელი კითხვარების მაჩვენებლებთან (0.60-დან 0.78-მდე), რაც კითხვარის კარგ ფსიქომეტრულ მაჩვენებლებზე მიუთითებს.

„ბნელი ტრიადის“ მოკლე კითხვარის ქართული ვერსიის შემუშავება

შერჩევა. კვლევა ჩატარდა შემთხვევით შერჩევაზე 464 პირის მონაწილეობით, მათ შორის 79% ქალი იყო, საშუალო ასაკი - 21.4 ± 6.2 . გამოკითხვა

ჩატარდა Google Forms გამოყენებით. მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო, ანონიმურობის სრული გარანტიით.

საზომი ინსტრუმენტები. გამოკითხვაში ჩართული იყო შემდეგი ტესტები:

- ✓ „ბნელი ტრიადის“ მოკლე სკალის (Short Dark Triad – SD3, Jones, Paulhus) ქართული ვერსია;
- ✓ „დიდი ხუთეულის“ 10-პუნქტიანი ტესტის – Ten Item Personality Measure – TIPI (Gosling, Rentfrow, & Swann, 2003) ქართული ვერსია, რომელიც ზომავს ინდივიდუალურ განსხვავებათა შესწავლის „ოქროს სტანდარტად“ აღიარებული „დიდი ხუთეულის“ ხუთ ბიპოლარულ ფაქტორს;
- ✓ შვიდი პუნქტისაგან შემდგარი სიცრუის სკალა.

მონაცემების სტატისტიკური ანალიზი. მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა მათემატიკური სტატისტიკის პროგრამათა პაკეტი SPSS-26. კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA) ჩატარდა SPSS მოდულის – AMOS-26-ის გამოყენებით. კორელაციული ანალიზი ჩატარდა პირსონის კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით. საშუალო მაჩვენებლებს შორის განსხვავების სტატისტიკური მნიშვნელობა შემოწმდა სტიუდენტის კრიტერიუმით,

შედეგები

კითხვარის თარგმანი და დისკრიმინანტულობის შემოწმება. გაკეთდა ტესტის პირველადი თარგმანის სამი დამოუკიდებელი ვერსია, რომლებიც შემდეგ შეჯერდა, რაც გულისხმობდა თარგმანის შედარებას ორიგინალთან, ახალ პირობებში ლექსიკის ადეკვატურად (არასასურველი კონოტატიური მნიშვნელობა, სოციალურ-კულტურული განსხვავების ლინგვისტური გამოვლინება და სხვ.) გამოყენების შეფასებას. დისკრიმინანტულობის შესამოწმებლად ჩატარდა საცდელი გამოკითხვა 47 პირის მონაწილეობით. მონაცემების დამუშავებამ აჩვენა, რომ დისკრიმინანტულობის 80%-იანი ზღვარი დარღვეული არ იყო. გარდა ამისა, სკალის დისკრიმინანტულობის შესამოწმებლად გამოთვლილ იქნა ფერგიუსონის კოეფიციენტი „დელტა“, რომელიც დასაშვები ნორმის ფარგლებშია: $0.5 \leq \delta \leq 1$.

ფაქტორული სტრუქტურის შემოწმება. ქართული ვერსიის ფაქტორული სტრუქტურის შესამოწმებლად პირველ ეტაპზე გამოყენებულ იქნა კვლევითი ფაქტორული ანალიზი (EFA), რომელიც ჩატარდა მთავარი კომპონენტების მეთოდით, ვარიმაქს-ბრუნვით, კაიზერის ნორმალიზაციით. დადასტურდა სამ-ფაქტორიანი სტრუქტურა, ახსნილი დისპერსია – 62.19%. პირველი ფაქტორის შინაარს მაკიაველიზმი განსაზღვრავს. ყველაზე მაღალი დატვირთვა აღმოაჩინდა პუნქტებს „კარგია, თუ სხვების შესახებ რაღაც ისეთი

იცე, რაც შეიძლება მათ წინააღმდეგ გამოიყენო“ (0.62) და „უნდა გააკეთო ყველაფერი იმისათვის, რომ გავლენიანი პირები შენ მხარეს იყვნენ“ (0.61). მეორე ფაქტორმა გააერთიანა ფსიქოპათიის პუნქტები. ყველაზე მაღალი დატვირთვა აღმოაჩნდა პუნქტს „სამაგიეროს გადახდა საჭიროა სწრაფად და უღმობლად“ (0.73). ნარცისიზმის სკალაზე (მესამე ფაქტორი) ყველაზე მაღალი წონა ჰქონდა პუნქტებს „ზოგჯერ ცნობილ ადამიანებს მადარებენ“ (0.72) და „ვიცი, რომ განსაკუთრებული ვარ, ვინაიდან ეს ჩემთვის ბევრჯერ უთქვამთ“ (0.67).

აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილი ჰქონდა ორთოგონალური სტრუქტურის გარკვეულ დარღვევასაც. როგორც ზემოთ ითქვა, ანალოგიური სურათი გამოვლინდა ტესტის ავტორების კვლევაშიც (Jones & Paulhus, 2014). ასე, მაგალითად, ნარცისიზმის სკალის ორი პუნქტი – „მოვითხოვ, რომ პატივისცემით მომექცენ, რასაც ნამდვილად ვიმსახურებ“ და „მომწონს გავლენიანი ადამიანების გაცნობა“ მაკიაველიზმისა და ფსიქოპათიის სკალეებშიც შევიდა (ფაქტორული წონით 0.32 და 0.29). ფსიქოპათიის სკალის პუნქტი „ვიტყვი ნებისმიერ რამეს, თუ ეს საჭიროა იმის მისაღებად, რაც მინდა“, მაკიაველიზმის სკალაშიც შევიდა. ორიგინალის ავტორების აზრით, ეს არ ეწინააღმდეგება „ბნელი ტრიადის“ მოდელს – ეს სამი ნიშანი ორთოგონალური არ არის.

მომდევნო ეტაპზე სამ-ფაქტორიანი სტრუქტურა შემოწმდა კონფირმატორული ფაქტორული ანალიზითაც (CFA). მოდელის შედგენისას თითოეული პუნქტი მიკუთვნებულ იქნა შესაბამის ფაქტორთან (სკალასთან). პუნქტის დისპერსიის ის ნაწილი, რომელიც ფაქტორით არ აიხსნა, მიეწერა „შეცდომას“. ამ მოდელის საფუძველზე გამოთვლილ იქნა მისი შეთანხმებულობის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც დამაკმაყოფილებელია: χ^2 შეფარდება თავისუფლების ხარისხთან: $\chi^2/df=2.126$; $p>0.05$; მოდელის შეთანხმებულობის კრიტერიუმი (comparative fit index, CFI): CFI=0.801 (ორიგინალისათვის – 0.82); აპროქსიმაციის კვადრატული საშუალო შეცდომა (root mean-square error of approximation, RMSEA) 95%-ანი დიაპაზონისათვის: [95% CI]<0.05. როგორც ვხედავთ, შედეგი დამაკმაყოფილებელია, რაც გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ქართული ვერსიის სტრუქტურა შესაბამეა ორიგინალის სტრუქტურას.

კორელაცია ტესტის სკალებს შორის. კორელაციული ანალიზი ჩატარდა პირსონის კორელაციის კოეფიციენტით. კორელაციამ მაკიაველიზმსა და ნარცისიზმს შორის 0.30 შეადგინა, მაკიაველიზმსა და ფსიქოპათიას შორის – 0.44, ხოლო ნარცისიზმსა და ფსიქოპათიას შორის – 0.30. ორიგინალის შემთხვევაში შესაბამისმა მაჩვენებლებმა შეადგინა: 0.22 (პირველი კვლევა)

და 0.29 (მეორე კვლევა), 0.40 (პირველი კვლევა) და 0.47 (მეორე კვლევა), 0.31 (პირველი კვლევა) და 0.42 (მეორე კვლევა).

შიდა შეთანხმებულობა. შიდა შეთანხმებულობის შესამოწმებლად გამოთვლილ იქნა როგორც კლასიკური კოეფიციენტი კრომბაჰის α , ისე მაკდონალდის ω კოეფიციენტი, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება თანამედროვე ფსიქომეტრულ ლიტერატურაში, რაც ასახავს მოდელებზე დაფუძნებული (model-based) ტესტის სანდოობის მაჩვენებლებზე გადასვლის ტენდენციას. ანალიტიკური კვლევები ადასტურებს მაკდონალდის კოეფიციენტის უფრო მაღალ სიზუსტეს – როგორც რიცხვითი მნიშვნელობის, ისე ინტერპრეტაციის კუთხით (Zinbarg, Revelle, Yovel, & Li, 2005). მაკიაველიზმის სკალისათვის კრომბაჰის α მნიშვნელობამ შეადგინა 0.724 (ორიგინალის შემთხვევაში – 0.74), ხოლო მაკდონალდის ω – 0.736. ნარცისიზმის სკალისათვის შესაბამისმა მაჩვენებლებმა შეადგინა: $\alpha=0.694$ (ორიგინალი – 0.72), $\omega=0.700$, ხოლო ფსიქოპათიის სკალისათვის – $\alpha=0.731$ (ორიგინალი – 0.76), $\omega=0.741$. მიღებული შედეგი ადასტურებს ქართული ვერსიის საკმაოდ მაღალ შიდა შეთანხმებულობას.

ტესტის მდგრადობა. სანდოობის, როგორც შედეგების მდგრადობის, შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა სკალის ორ ნაწილად გაყოფისა და ამ ნაწილებს შორის კორელაციის გამოთვლის მეთოდი (split-half reliability). გამოთვლილ იქნა სპირმენ-ბრაუნის კორელაციის კოეფიციენტი, რომელმაც ასევე დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენა. ამრიგად, დადასტურდა ტესტის ქართული ვერსიის საკმაოდ მაღალი სანდოობა (შიდა შეთანხმებულობა და შედეგების მდგრადობა).

ვალიდურობის შემოწმება. ტესტის ორიგინალის ავტორებმა ამ მიზნით გამოიყენეს „ბნელი ტრიადის“ სტანდარტული კითხვარები (Mach IV, SRP-III, NPI), აგრეთვე Interpersonal Circumplex (IPIP-IPC) (Jones & Paulhus, 2014). სამწუხაროდ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ ოთხი ტესტის ადაპტირებული ქართული ვერსია არ არსებობს. მაგრამ არსებობს ტესტის ვალიდურობის შემოწმების სხვა გზაც: 1) ჰიპოთეზების ჩამოყალიბება იმ ცვლადების შესახებ, რომლებთანაც უნდა დადასტურდეს ტესტის კორელაცია (კონვერგენტული ვალიდურობა); 2) ჰიპოთეზების ჩამოყალიბება იმ ცვლადების შესახებ, რომლებთანაც ტესტის კორელაცია არ უნდა გამოვლინდეს (დივერგენტული ვალიდურობა); 3) იმ პირთა ჯგუფების მითითება, ვისაც ამ ტესტით მაღალი და დაბალი მაჩვენებლები უნდა ჰქონდეს (მიმდინარე ვალიდურობა). როგორც ითქვა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში „ბნელი ტრიადა“ ინტენსიური კვლევის საგანი გახდა; შესაბამისად, ქართული ვერსიის ვალი-

დურობის შესამოწმებლად ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები არსებულ მონაცემებს ეფუძნება.

კონვერგენტული ვალიდურობის შემოწმება. რა თქმა უნდა, ბნელი ტრიადის კითხვარის ვალიდურობის შემოწმება შეუძლებელია პიროვნების საბაზო ნიშნებთან კავშირის გამოვლენის გარეშე. „ბნელი ტრიადის“ ავტორებმა ემპირიულად დაადასტურეს, რომ „ბნელი ტრიადის“ ნიშნებს შორის კავშირი განპირობებულია „დიდი ხუთეულის“ ერთი ფაქტორით – დაბალი კეთილგანწყობით. გამოვლინდა მაკიაველიზმის უარყოფითი კორელაცია კეთილსინდისიერებასა და კეთილგანწყობასთან, ნარცისიზმისა და ფსიქოპათიის დადებითი კავშირი ექსტრავერსიასა და ახალი გამოცდილების მიღების მზაობასთან (openness), ნარცისიზმის უარყოფითი კორელაცია კეთილგანწყობასთან, ფსიქოპათიისა – ნეიროტიზმსა და კეთილგანწყობასთან (Paulhus & Williams, 2002).

მსგავსი სურათი აჩვენა მომდევნო პერიოდის კვლევებმაც: მაკიაველიზმის დადებითი კავშირი ნეიროტიზმთან და უარყოფითი – კეთილსინდისიერებასა და კეთილგანწყობასთან, ნარცისიზმის დადებითი კორელაცია ექსტრავერსიასთან, ახალი გამოცდილების მიღების მზაობასა და კეთილსინდისიერებასთან, უარყოფითი კავშირი კეთილგანწყობასთან. ფსიქოპათიის კავშირი ნეიროტიზმთან დადებითია, ხოლო კეთილსინდისიერებასა და კეთილგანწყობასთან – უარყოფითი (Muris, Merckelbach, Otgaar, & Meijer, 2017). ტესტის გერმანული ვერსიის შემუშავებისას დადასტურდა მაკიაველიზმისა და ფსიქოპათიის უარყოფითი კორელაცია კეთილსინდისიერებასა და კეთილგანწყობასთან, აგრეთვე ნარცისიზმის დადებითი კორელაცია კეთილსინდისიერებასთან და უარყოფითი კორელაცია კეთილგანწყობასთან (Malesza, Ostaszewski, Büchner, & Kaczmarek, 2017). ტესტის ჩეხურმა ვერსიამ გამოავლინა მაკიაველიზმის უარყოფითი კორელაცია კეთილგანწყობასთან, ნარცისიზმის დადებითი კავშირი ექსტრავერსიასა და ახალი გამოცდილების მიღების მზაობასთან და უარყოფითი კავშირი ნეიროტიზმსა და კეთილგანწყობასთან. ფსიქოპათიის კავშირი ნეიროტიზმთან დადებითია, ხოლო კეთილსინდისიერებასა და კეთილგანწყობასთან – უარყოფითი (Mejzliková, Preiss, Malináková, Raisová, & Bolceková, 2018).

შესაბამისად, ტესტის სკალების კონვერგენტული ვალიდურობის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა „დიდი ხუთეულის“ 10-პუნქტიანი ტესტის – Ten Item Personality Measure – TIPI (Gosling, Rentfrow, & Swann, 2003) ქართული ვერსია. აღსანიშნავია ისიც, რომ „დიდი ხუთეულის ტესტი“ ამ მიზნით გამოყენებულია ტესტის სხვადასხვა ვერსიაში (მაგალითად, გერმანული (Malesza, Ostaszewski, Büchner, & Kaczmarek, 2017), სლოვაკური (Cepková &

Šafár, 2021), რუსული (Егорова, Ситникова, & Паршикова, 2015), ჩინური (Zhang, Ziegler, & Paulhus, 2020) ვერსიები).

არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზა: მოსალოდნელია სამივე სკალის უარყოფითი კორელაცია კეთილგანწყობასთან, ნარცისიზმის დადებითი კორელაცია ექსტრავერსიასა და ახალი გამოცდილების მიღების მზაობასთან (გახსნილობასთან), ფსიქოპათიის დადებითი კავშირი ნეიროტიზმთან და უარყოფითი – კეთილსინდისიერებასთან. „დიდი ხუთეულის“ ფაქტორებსა და „ბნელი ტრიადის“ სკალებს შორის კორელაციის გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტი. შედეგი წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1. კორელაცია „ბნელი ტრიადის“ სკალებსა და „დიდი ხუთეულის“ ფაქტორებს შორის.

	ექსტრავერსია		კეთილგანწყობა		კეთილსინდისიერება		ნეიროტიზმი		გახსნილობა	
	r	p	r	p	r	p	r	p	r	p
მაკიაველიზმი	-.053	.250	-.171**	.000	-.025	.591	.025	593	-.042	364
ნარცისიზმი	.377**	.000	-.101*	.030	.041	.379	-.047	315	.410*	000
ფსიქოპათია	.051	.269	-.443**	.000	-.244**	.000	.191**	000	.073	119

შენიშვნა: r – პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, p – სტატისტიკური მნიშვნელობა. კურსივით ნიშანდებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, დადასტურდა ყველა მოსალოდნელი ურთიერთკავშირი. სამივე სკალის კორელაცია კეთილგანწყობასთან უარყოფითია; კორელაცია ყველაზე ძლიერია ფსიქოპათიის სკალასთან. დადებითია ნარცისიზმის კორელაცია ექსტრავერსიასა და ახალი გამოცდილების მიღების მზაობასთან (გახსნილობასთან); ფსიქოპათიის კავშირი ნეიროტიზმთან დადებითია, ხოლო კეთილსინდისიერებასთან – უარყოფითი. ამრიგად, ყველა მოსალოდნელი კავშირი დადასტურდა, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს კითხვარის ქართული ვერსიის კონვერგენტულ ვალიდურობას.

დივერგენტული ვალიდურობა. პირველი ცხრილიდან აგრეთვე ჩანს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გამოვლინდა მაკიაველიზმის კორელაცია ექსტრავერსიასა და ნეიროტიზმთან. არ დადასტურდა ნარცისიზმის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი კეთილსინდისიერებასა და ნეიროტიზმთან, ფსიქოპათიისა – ექსტრავერსიასთან. შესაბამისად, დადასტურდა ტესტის ქართული ვერსიის დივერგენტული ვალიდურობაც.

მიმდინარე ვალიდურობის შემოწმება. არსებული მონაცემებით, მამაკაცებს „ბნელი ტრიადის“ ნიშნები უფრო გამოხატული აქვთ, ვიდრე ქალებს

(Jones & Paulhus, 2014; Malesza, Ostaszewski, Büchner, & Kaczmarek, 2017; Jonason & Davis, 2018). გენდერული განსხვავების სტატისტიკური მნიშვნელობა შემოწმდა სტიუდენტის კრიტერიუმით (ცხრ. 2).

ცხრილი 2. გენდერული მაჩვენებლები „ბნელი ტრიადის“ სამი სკალის მიხედვით

		საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	სტიუდენტის კრიტერიუმი t	სტატისტიკური სანდოობა p
მაკიაველიზმი	ქალი	2.66	0.48		
	მამაკაცი	2.77	0.55	1.619	.106
ნარცისიზმი	ქალი	2.80	0.46		
	მამაკაცი	2.75	0.40	.816	.415
ფსიქოპათია	ქალი	2.35	0.47		
	მამაკაცი	2.45	0.46	1.667	.096

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მაკიაველიზმისა და ფსიქოპათიის სკალებზე მამაკაცის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ქალისა, ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ შერჩევა გენდერულად დაბალანსებული არ არის (მონაწილეთა 79% ქალია), მაგრამ ეს ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან გენდერული დისბალანსი სხვა კვლევებშიც გვხვდება (მაგალითად, ესპანური ვერსია, სადაც ასევე 79% ქალია, ჩინური ვერსია – 73%, რუსული ვერსია – 70%, უნგრული ვერსია – 74%, სლოვაკური ვერსია – 68%). თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ეროვნული თავისებურების გამოვლინებაა. ასეა თუ ისე, ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

სოციალური სასურველობა. არსებული მონაცემებით, დასტურდება კავშირი „ბნელი ტრიადის“ ნიშნებსა და სოციალურ სასურველობას (სოციალურად მისაღები პასუხების გაცემის ტენდენცია) შორის (Jonason & Webster, 2010; Muris, Merckelbach, Otgaar, & Meijer, 2017), თუმცა შედეგები ერთგვაროვანი არ არის. ერთი მხრივ, ეს ნიშნები და, კერძოდ, ფსიქოპათია უარყოფით კორელაციაში სოციალურ სასურველობასთან (Ray, და სხვ., 2013; Verschuere, და სხვ., 2014), რაც, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ ნიშნების მაღალი მაჩვენებლების მქონე პირს ნაკლებად აინტერესებს სხვების აზრი, ახასიათებს ისეთი თვისებები, როგორიცაა ეგოცენტრიზმი, გრანდიოზულობა, ყოყმობა (Gamache, Savard, & Maheux-Caron, 2018). მეორე მხრივ, „ბნელი ტრიადის“ ნიშნები გულწრფელობასა და პატიოსნებას ნამდვილად არ უკავშირდება, ამიტომ უფრო მოსალოდნელია დადებითი კორელაცია (Hodson, და სხვ., 2018).

სოციალური სასურველობის შესაფასებლად გამოყენებული იყო შვიდი პუნქტისაგან შემდგარი სიცრუის სკალა. თუ ამ სკალის მაჩვენებელი 3-ზე მაღალია, ეს მიუთითებს სოციალურად მისაღები პასუხების გაცემის ტენდენციაზე, ანუ რესპონდენტი ნაკლებად გულწრფელია (შეგნებულად თუ არაც-

ნობიერად). სიცრუის სკალასა და ტესტის სკალებს შორის კორელაციის გამო-სათვლელად გამოყენებულ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტი. მი-ღებული შედეგი ასახულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3. კორელაცია „ბნელი ტრიადის“ სკალებსა და გულწრფელობას შორის

	მაკიაველიზმი		ნარცისიზმი		ფსიქოპათია	
	r	p	r	p	r	p
გულწრფელობა	-.131**	.005	-.115*	.013	-.175**	.000

შენიშვნა: r – პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, p – სტატისტიკური მნიშვნელობა.

როგორც ვხედავთ, „ბნელი ტრიადის“ სამივე სკალის კორელაცია გულწრფელობასთან უარყოფითია, ანუ ემთხვევა Ray და Verschuere მიერ მიღებულ შედეგს. ტესტის ავტორებს სოციალური სასურველობის ეფექტი არ შეუმოწმებიათ. რამდენად შევძელით ამის შემოწმება, ის არც სხვა ვერსიებში გვხვდება; გამონაკლისია ესპანური ვერსია, რომელშიც ამ მიზნით გამოყენებულია მარლოუ-კროუნის სოციალური სასურველობის სკალა (Marlowe-Crowne Social Desirability Scale – SDS). ესპანური ვერსიის ავტორების მიერ მიღებული შედეგის თანახმად, დადასტურდა დადებითი კორელაცია მხოლოდ მაკიაველიზმის სკალასთან. ფსიქოპათიისა და ნარცისიზმის სკალების კორელაცია სოციალური სასურველობის მაჩვენებელთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა ($r=0.13$ და $r=-0.01$ შესაბამისად) (Pineda, Sandín, & Muris, 2018).

რამდენად აისახება სოციალური სასურველობის ეფექტი ტესტის მაჩვენებლებზე? ამის გასარკვევად შევადარეთ გულწრფელ და ნაკლებად გულწრფელ (3-ზე მაღალი მაჩვენებელი) პირთა მაჩვენებლები „ბნელი ტრიადის“ სამივე სკალის მიხედვით. განსხვავების სტატისტიკური მნიშვნელობა შემოწმდა სტიუდენტის კრიტერიუმით. მიღებული შედეგი წარმოდგენილია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4. გულწრფელი და ნაკლებად გულწრფელი პირების საშუალო მაჩვენებლები


		საშუალო მაჩვენებელი	სტანდარტული გადახრა	სტიუდენტის კრიტერიუმი t	სტატისტიკური სანდოობა p
მაკიაველიზმი	გულწრფელი	2.73	0.49		
	არაგულწრფელი	2.56	0.46	3.537	.000
ნარცისიზმი	გულწრფელი	2.84	0.44		
	არაგულწრფელი	2.73	0.46	2.526	.012
ფსიქოპათია	გულწრფელი	2.43	0.48		
	არაგულწრფელი	2.26	0.44	3.742	.000

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, სამივე სკალაზე ყველა გულწრფელი პირის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ნაკლებად გულწრფელისა (გან-

სხვაევა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია). ამრიგად, სოციალური სასურველობის ეფექტი ვლინდება სამივე სკალაზე.

ნორმატიული მაჩვენებლები. მიღებული შედეგები გვაძლებს ტესტის ნორმატიული მაჩვენებლების გამოთვლის საშუალებას (ახალგაზრდებისათვის). ფსიქოლოგთა ასოციაციების ევროპული ფედერაციის (EFPA) სტანდარტის თანახმად, სტატისტიკური ნორმის გამოსათვლელად შერჩევის მინიმალური მოცულობა 150-ს შეადგენს; გარდა ამისა, ცდისპირთა მინიმალური რაოდენობა სულ მცირე ორჯერ უნდა აღემატებოდეს ტესტის პუნქტების რიცხვს (ჩვენ შემთხვევაში ის 17-ჯერ მეტია). ემპირიული მონაცემები ამ პირობებს აკმაყოფილებს.

არსებობს სტატისტიკური კრიტერიუმიც: მონაცემების განაწილება ნორმალური (გაუსის) კანონის შესაბამისად. მონაცემების გამოკვლევამ აჩვენა, რომ მკაცრი კრიტერიუმებით (კოლმოგოროვ-სმირნოვის ტესტი) სამივე სკალაზე განაწილება ნორმალური არ არის. მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის საკმარისია, რომ ემპირიული განაწილება მხოლოდ უახლოვებოდეს ნორმალურს, ანუ ასიმეტრიისა (Skewness) და ექსცესის (Kurtosis) რიცხვითი მნიშვნელობა 1-ს არ აღემატებოდეს. განაწილების მაჩვენებლები ასახულია მე-5 ცხრილში, ხოლო ჰისტოგრამები – პირველ ნახატზე.



ნახ. 1. „ბნელი ტრიადის“ სამი სკალის ჰისტოგრამები

ცხრილი 5. „ბნელი ტრიალის“ სამი სკალის ემპირიული განაწილების მახასიათებლები

	მაკიაველიზმი	ნარცისიზმი	ფსიქოპათია
ასიმეტრია	.051	.020	.107
ექსცესი	.794	1.000	.063

როგორც ვხედავთ, ასიმეტრიისა და ექსცესის რიცხვითი მნიშვნელობა 1-ს არ სცდება, რაც ნიშნავს, რომ ემპირიული განაწილება შეიძლება ნორმალურ განაწილებად იქნეს მიჩნეული. ამას ადასტურებს სამივე ჰისტოგრამის ფორმაც. შესაბამისად, მიღებული შედეგი ადასტურებს ნორმატიული მაჩვენებლების გამოთვლის მართებულობას (ოღონდ მხოლოდ ახალგაზრდებისათვის). საშუალო მაჩვენებლები ასახულია მე-6 ცხრილში; აქვე წარმოდგენილია ტესტის ორიგინალის შესაბამისი მაჩვენებლები (მე-3 კვლევა) (Jones & Paulhus, 2014).

ცხრილი 6. „ბნელი ტრიალის“ ნორმატიული მაჩვენებლები (ახალგაზრდები)

		მაკიაველიზმი		ნარცისიზმი		ფსიქოპათია	
		M	σ	M	M	M	σ
ქართული ვერსია	საერთო						
	მაჩვენებელი	2.68	0.49	2.79	0.45	2.36	0.47
	ქალი	2.66	0.48	2.80	0.46	2.35	0.47
	მამაკაცი	2.77	0.55	2.75	0.40	2.45	0.46
ორიგინალი ⁷	ქალი	2.91	0.53	2.64	0.56	2.04	0.57
	მამაკაცი	3.12	0.67	2.83	0.57	2.41	0.63

შენიშვნა: M – საშუალო მაჩვენებელი, σ – სტანდარტული გადახრა.

შედეგების განხილვა. მიღებული შედეგები იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ „ბნელი ტრიალის“ ქართული ვერსიის სტრუქტურა შეესაბამება თეორიულ კონსტრუქტს. ქართული ვერსიის ფაქტორული სტრუქტურა ორიგინალური ტესტის ეკვივალენტურია. საკმარისად მაღალია ტესტის სკალების შიდა შეთანხმებულობა; მაჩვენებლები ორიგინალისა და სხვა ვერსიების შესაბამისი მაჩვენებლების ანალოგიურია. სარწმუნოა კითხვარის ვალიდურობის შემოწმების შედეგებიც – დადასტურდა როგორც კონვერგენტული, ისე დისვერგენტული ვალიდურობა. ქართული ვერსიის საფუძველზე გამოთვლილი ყველა მაჩვენებელი, სკალებს შორის კორელაციისა და სხვა პიროვნულ ნიშნებთან კორელაციის ჩათვლით, ისეთივე სურათს იძლევა, როგორც ორიგინალი და სხვა ვერსიები. სახელდობრ, პიროვნულ დისპოზიციურ ნიშნებთან („დიდი ხუთეული“) შეპირისპირებისას დადასტურდა თეორიულად მოსალოდნელი კავშირები: სამივე სკალის უარყოფითი კორელაცია კეთილგანწყობასთან, ფსიქოპათიისა – კეთილსინდისიერებასთან, აგრეთვე დადე-

⁷ საერთო მაჩვენებელი ავტორების მიერ წარმოდგენილი არ არის.

ბიტი კორელაცია ნარცისიზმსა და ექსტრავერსიას, ახალი გამოცდილები-სადმი გახსნილობას შორის.

მაგრამ ორიგინალისა და სხვა ვერსიებისაგან განსხვავებით, გენდერული განსხვავება არ დადასტურდა, რაც შეიძლება ეროვნული თავისებურებით იყოს გამოწვეული. ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს. მთლიანობაში წინამდებარე კვლევის შედეგები ადასტურებს „ბნელი ტრიადის“ ქართული ვერსიის კარგ ფსიქომეტრულ მაჩვენებლებს.

დასკვნა. „ბნელი ტრიადის“ სკალის ქართული ვერსია შეიძლება მიჩნეულ იქნეს სანდო და ვალიდურ ფსიქოდიანგნოსტურ ინსტრუმენტად. მისი გამოყენება შეიძლება როგორც კვლევითი, ისე ფსიქოლოგიური კონსულტირების მიზნებისათვის.

კვლევის შეზღუდვა. შერჩევა, რომელზეც ჩატარდა კვლევა, გენდერულად დაბალანსებული არ იყო. შესაბამისად, მომავალში საჭიროა შერჩევაში მეტი მამაკაცის ჩართვა და „ბნელი ტრიადის“ ნიშნების გენდერულად სპეციფიკური თავისებურებების შესწავლა. გარდა ამისა, საჭიროა კითხვარის ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმება სხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Atari, M., & Chegeni, R. (2016). Assessment of dark personalities in Iran: Psychometric evaluation of the Farsi translation of the Short Dark Triad (SD3-F). *Personality and Individual Differences, 102*, , 111–117.
- Copková, R., & Šafár, L. (2021). Psychometric Properties of the Slovak Version of Short Dark Triad. *Eur. J. Investig. Health Psychol. Educ., 11* , 649–666.
- Czarna, A. Z., Jonason, P. K., Dufner, M., & Kossowska, M. (2016). The Dirty Dozen scale: Validation of a polish version and extension of the nomological net. *Frontiers in Psychology, 7*, 455.
- Furnham, A., Richards, S., & Paulhus, D. (2013). The Dark Triad of Personality: A 10 Year Review. *Soc. Pers. Psychol. Compass, 7*, 199–216.
- Gamache, D., Savard, C., & Maheux-Caron, V. (2018). French adaptation of the Short Dark Triad: Psychometric properties and a head-to-head comparison with the Dirty Dozen. *Personality and Individual Differences, 122*, 164–170.
- Gamache, D., Savard, C., & Maheux-Caron, V. (2014). French adaptation of the short dark triad: Psychometric properties and a head-to-head comparison with the dirty dozen. *Personality and Individual Differences, 122* , 164–170.
- Gosling, S. D., Rentfrow, P. J., & Swann, W. B. (2003). A Very Brief Measure of the Big Five Personality Domains. *Journal of Research in Personality, 37*, 504–528.

- Hodson, G., Book, A., Visser, B. A., Volk, A. A., Ashton, M. C., & Lee, K. (2018). Is the Dark Triad common factor distinct from low Honesty-Humility? . *Journal of Research in Personality*, *73*, , 123–129.
- Jakobwitz, S., & Egan, V. (2006). The dark triad and normal personality traits. *Pers. Individ. Differ.*, *40*, 331–339.
- Jonason, P. K., & Webster, G. D. (2010). The dirty dozen: a concise measure of the dark triad. *Psychological Assessment*, *22*(2), 420–432.
- Jonason, P. K., & Webster, G. D. (2010). The Dirty Dozen: A concise measure of the Dark Triad. . *Psychological Assessment*, *22*, 420-432.
- Jonason, P. K., Baughman, H. M., Carter, G. L., & Parker, P. (2015). Dorian Gray without his portrait: Psychological, social, and physical health costs associated with the Dark Triad. *Personality and Individual Differences*, *Volume 78* , 5-13.
- Jonason, P., & Davis, M. (2018). A gender role view of the Dark Triad traits. . *Pers. Individ. Differ.*, *125*, 102–105.
- Jones, D. N., & Paulhus, D. L. (2009). Machiavellianism. B R. H. Leary, & H. (Eds.), *Handbook of individual differences in social behavior* (стр. 93-108). New York: NY: Guilford.
- Jones, D. N., & Paulhus, D. L. (2014). Introducing the short dark triad (SD3): A brief measure of dark personality traits. *Assessment*, *21*, 28–41.
- Malesza, M., Ostaszewski, P., Büchner, S., & Kaczmarek, M. C. (2017). The Adaptation of the Short Dark Triad Personality Measure – Psychometric Properties of a German Sample. *Current Psychology*, 1040-50.
- McHoskey, J. (1995). Narcissism and Machiavellianism. *Psychological Reports*, *77*(3), 755–759.
- McHoskey, Worzel, & Szyarto (1998). Machiavellianism and psychopathy. *Journal of Personality and Social Psychology*, *74*(1), 192–210.
- Mejzlíková, T., Preiss, M., Malináková, J., Raisová, M., & Bolceková, E. (2018). Česká validizační studie škály Krátká temná trojice (Short Dark Triad, SD3). *Appl. Psychol.*, *3*, 255–270.
- Muris, P., Meesters, C., & Timmermans, A. (2014). Some youths have a gloomy side: Correlates of the dark triad personality traits in nonclinical adolescents. *Child Psychiatry and Human Development*, *44*(5), 658–665.
- Muris, P., Merckelbach, H., Otgaar, H., & Meijer, E. (2017). The malevolent side of human nature: A meta-analysis and critical review of the literature on the dark triad (narcissism, Machiavellianism, and psychopathy). *Perspectives on Psychological Science*, *12*(2), 183-204.
- Özsoy, E., Rauthmann, J. F., Jonason, P. K., & Ardiç, K. (2017). Reliability and validity of the Turkish versions of Dark Triad Dirty Dozen (DTDD-T), Short Dark Triad (SD3-T), and Single Item Narcissism Scale (SINS-T). *Personality and Individual Differences*, *117*, 11-14.

- Paulhus, D. L., & Williams, K. M. (2002). The Dark Triad of personality: narcissism, Machiavellianism, and psychopathy. *Journal of Research in Personality, 36*, 556-563.
- Pineda, D., Sandín, B., & Muris, P. (2018). Psychometrics properties of the spanish version of two dark triad scales: The dirty dozen and the short dark triad. *Current Psychology, 4*, 11-22.
- Ray, J. V., Hall, J., Rivera-Hudson, N., Poythress, N. G., Lilienfeld, S. O., & Morano, M. (2013). The relation between self-reported psychopathic traits and distorted response styles: A meta-analytic review. *Personality disorders: disorders: Theory, Research, and Treatment, 4*, 1–14.
- Shimotsukasa, T., & Oshio, A. (2016). Development and validation of the Japanese version of the Short Dark Triad (SD3-J): Comparing with the Japanese version of the Dark Triad Dirty Dozen. *Personality and Individual Differences, 101*, 514.
- Szabó, Z., Czibor, A., Neve, J., Restás, P., Hadarics, M., Szijjártó, L., Bereczkei, T. (2021). Development of the hungarian version of the short dark triad questionnaire (SD3-HU): psychometric properties and validity. *Current Psychology*.
- Verschuere, B., Uzieblo, K., De Schryver, M., Douma, H., Onraedt, T., & Crombez, G. (2014). The inverse relation between psychopathy and faking good: Not response bias, but true variance in psychopathic personality. *Journal of Forensic Psychiatry and Psychology, 25(6)*, 705–713.
- Zeigler-Hill, V. E., & Marcus, D. K. (2016). *The dark side of personality: Science and practice in social, personality, and clinical psychology*. Washington: American Psychological Association.
- Zhang, J., Ziegler, M., & Paulhus, D. L. (2020). Development and evaluation of the short Dark Triad–Chinese version (SD3-C). *Current Psychology: A Journal for Diverse Perspectives on Diverse Psychological Issues, 39(4)*, 1161–1171.
- Zinbarg, R., Revelle, W., Yovel, I., & Li, W. (2005). Cronbach's α , Revelle's β , and McDonald's ω H: Their relations with each other and two alternative conceptualizations of reliability. *Psychometrika, 70(1)*, 123–133.
- Корниенко & Дериш (2019). Психометрические характеристики «Короткого опросника Темной триады». *Вестник Пермского университета. Философия. Психология. Социология. Вып. 4*, 525–538.
- Егорова, М., Ситникова, М., & Паршикова, О. (2015). Адаптация Короткого опросника Темной триады. *Психологические исследования. Т.8, № 43*, 1-15.